

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

ბრძანება №15

2017 წლის 16 მაისი

ქ. თბილისი

„საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 6 აპრილის №195 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 6 აპრილის №195 ბრძანებაში (სსმ, ვებგვერდი, 06/04/2015, ს/კ 010320000.22.023.016318) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართი №1 „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების“:

ა) მე-3 მუხლის:

ა.ა) პირველი პუნქტის:

ა.ა.ა) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება ან საჯარო სამსახურში ან/და საჯარო სამართლის იურიდიულ პირში მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება;“;

ა.ა.ბ) „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ა.ბ) მე-2 პუნქტის:

ა.ბ.ა) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება ან საჯარო სამსახურში ან/და საჯარო სამართლის იურიდიულ პირში მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება;“;

ა.ბ.ბ) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ფინანსური ან შესყიდვების მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 1-წლიანი გამოცდილება;“;

ა.გ) მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში მუშაობის არანაკლებ 1-წლიანი გამოცდილება;“;

ა.დ) მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საჯარო სამსახურში ან/და საჯარო სამართლის იურიდიულ პირში ბუღალტრის თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება;“;

ა.ე) მე-7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საბუღალტრო მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 1-წლიანი გამოცდილება;“;

ა.ვ) მე-9 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 1-წლიანი გამოცდილება;“;

ა.ზ) მე-10 პუნქტის:

ა.ზ.ა) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიმართულებით ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 1-წლიანი გამოცდილება, ან იმავე მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება;“;



- „გ) მუშაობის არანაკლებ 1-წლიანი გამოცდილება“;
- ე.თ) მე-10 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;
- ე.ი) მე-11 პუნქტის:
 - ე.ი.ა) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ა) უმაღლესი განათლება“;
 - ე.ი.ბ) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„გ) ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 1-წლიანი გამოცდილება ან გარემოს დაცვის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება“;
 - ე.ი.გ) „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;
- ე.კ) მე-12 პუნქტის:
 - ე.კ.ა) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„გ) გარემოს დაცვის სფეროში მუშაობის არანაკლებ 1-წლიანი გამოცდილება“;
 - ე.კ.ბ) „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;
- ე.ლ) მე-13 პუნქტის:
 - ე.ლ.ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ა) უმაღლესი საინჟინრო ტექნიკური, ტექნოლოგიური ან საბუნებისმეტყველო განათლება“;
 - ე.ლ.ბ) „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;
- ე.მ) მე-15 პუნქტის:
 - ე.მ.ა) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„გ) ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 1-წლიანი გამოცდილება ან გარემოს დაცვის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება“;
 - ე.მ.ბ) „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;
 - ე.მ.გ) „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ვ) ნიმუშების/სინჯების აღების, გაზომვების და ლაბორატორიული კვლევების ჩატარების გამოცდილება“;
- ე.ნ) მე-16 პუნქტის:
 - ე.ნ.ა) „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;
 - ე.ნ.ბ) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„დ) ნიმუშების/სინჯების აღების, გაზომვების და ლაბორატორიული კვლევების ჩატარების არანაკლებ 1-წლიანი გამოცდილება“;
 - ე.ნ.გ) „ე“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;
- ვ) მე-8 მუხლის:
 - ვ.ა) პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„გ) ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება ან საჯარო სამსახურში ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირში სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება“;
 - ვ.ბ) მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;
 - ვ.გ) მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„გ) სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 1-წლიანი გამოცდილება“;
 - ვ.დ) მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„გ) სპეციალობით მუშაობის გამოცდილება“;
 - ვ.ე) მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;
- ზ) მე-9 მუხლის:
 - ზ.ა) პირველი პუნქტის:
 - ზ.ა.ა) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„გ) ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება ან სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მიმართულებით მუშაობის ან ძალოვან სტრუქტურებში მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება“;
 - ზ.ა.ბ) „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;
 - ზ.ბ) მე-2 პუნქტის:
 - ზ.ბ.ა) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„გ) ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 1-წლიანი გამოცდილება ან სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მიმართულებით მუშაობის ან ძალოვან სტრუქტურებში მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება“;



ი.ბ) მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) მუშაობის არანაკლებ 1-წლიანი გამოცდილება“;

ი.გ) მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) მუშაობის არანაკლებ 1-წლიანი გამოცდილება“;

ი.დ) მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ი.ე) მე-7 პუნქტის:

ი.ე.ა) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 1-წლიანი გამოცდილება ან გარემოს დაცვის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება“;

ი.ე.ბ) „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ი.ვ) მე-8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) მუშაობის არანაკლებ 1-წლიანი გამოცდილება“;

ი.ზ) მე-9 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) მუშაობის არანაკლებ 1-წლიანი გამოცდილება“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი**

სოლომონ პავლიაშვილი

